საუკეთესო მოხალისის კონკურსის

დებულება

ქალაქი წყალტუბო, 2026 წელი.

1. ზოგადი დებულებები

1.1 წინამდებარე დებულება განსაზღვრავს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში "წლის საუკეთესო მოხალისე" გამოვლენისა და დაჯილდოების წესს.

1.2 კონკურსის მიზანია, მოხალისეობრივი საქმიანობის პოპულარიზაცია, ახალგაზრდების სამოქალაქო ჩართულობის წახალისება და იმ პირთა თუ ჯგუფთა დაფასება, რომელთაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს წყალტუბოს თემის განვითარებაში.

1.3 დაჯილდოება ჩატარდება 12 აგვისტოს, ახალგაზრდობის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ ახალგაზრდულ ფესტივალზე.

2. საკონკურსო ნომინაციები

კონკურსი ტარდება 3 ძირითად ნომინაციაში:

- **"წლის გარემოსდაცვითი მოხალისე"** - მიენიჭება ახალგაზრდას, რომელმაც აქტიური მონაწილეობა მიიღო ეკოლოგიურ აქციებში, დასუფთავებაში, გამწვანებასა ან გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლებაში.
- **"წლის სოციალური და თემზე ორიენტირებული მოხალისე"** - მიენიჭება ახალგაზრდას, რომლის საქმიანობაც მიმართული იყო მოწყვლადი ჯგუფების დახმარებაზე, ქველმოქმედებასა ან ადგილობრივი თემის საჭიროების მოგვარებაზე.
- **"წლის კულტურულ-საგანმანათლებლო მოხალისე"** - მიენიჭება ახალგაზრდას, რომელმაც წვლილი შეიტანა კულტურული, საგანმანათლებლო, სპორტული ან ახალგაზრდული პროექტების ორგანიზებასა და განხორციელებაში.

3. მონაწილეობის კრიტერიუმები

3.1 კონკურსში მონაწილეობა შეუძლია ახალგაზრდებს 14-დან 29 წლამდე.

3.2 აპლიკანტი უნდა ცხოვრობდეს, სწავლობდეს და მოხალისეობრივ საქმიანობას ეწეოდეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.

3.3 კონკურსში მონაწილეობა არ შეუძლია წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭოს წევრებს.

4. განაცხადის წარდგენის წესი და არხები

4.1 ნომინირება შესაძლებელია როგორც თვითნომინირებით (საკუთარი თავის წარდგენით), ისე მესამე პირის/ორგანიზზაციის მიერ.

4.2 განცხადებები მიიღება **27 ივლისიდან 8 აგვისტომდე**

4.3 განცხადების გაგზავნა/წარდგენა შესაძლებელია შემდეგი არხებით:

- **ელექტრონულ ფოსტაზე:** შევსებული აპლიკაციისა და თანდართული მასალების გამოგზავნით მისამართზე: tskaltubosaxalgazrduli1@gmail.com

- **ონლაინ პორტალზე:** განცხადების წარდგენით ელექტრონულ Google Forms-ის ფორმატში, ლინკზე: https://forms.gle/JwiCvUWZip3N84bC9

4.4 განცხადება მოიცავს:

- ნომინანტისა და ნომინატორის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საკონტაქტო ინფორმაციას;
- არჩეულ ნომინაციას;
- სამოტივაციო წერილს/საქმიანობის მოკლე აღწერას;
- დამადასტურებელ მასალას (ფოტო/ვიდეო/სერტიფიკატები, სარეკომენდაციო წერილი ან აქტივობის ბმულები)

5. საკონკურსო კომისია და შეფასების პროცედურა

5.1 განცხადების შეფასებისა და გამარჯვებულის გამოვლენის მიზნით, იქმნება დროებითი **საკონკურსო კომისია,** რომელსაც ამტკიცებს მუნიციპალიტეტის მერი;

5.2 კომისია შედგება 10-მდე წევრისგან (წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭოს, მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს შემადგენლობით)

5.3 შეფასების პროცესი მიმდინარეობს ორ ეტაპად:

- **I ეტაპი - ტექნიკური გადარჩევა:** კომისიის სამდივნო ამოწმებს განაცხადების შესაბამისობას დორმალურ კრიტერიუმებთან (ასაკი, არეალი, სრულყოფილი დოკუმენტაცია)
- **II ეტაპი - შინაარსობრივი შეფასება:** კომისიის თითოეული წევრი ინდივიდუალურად აფასებს თითოეულ აპლიკანტს წინასწარ დადგენილი ქულათა სისტემით.

5.4 შეფასებების ძირითადი კრიტერიუმებია:

საქმიანობის მასშტაბი და შედეგიანობა (მაქს. 5 ქულა) რა გავლენა იქონია კანდიდატის მიერ განხორციელებულმა მოხალისეობრივმა საქმიანობამ თემზე? რამდენმა ადამიანმა ისარგებლა შედეგით?	
საქმიანობამ მოიცვა დიდი აუდიტორია/მნიშვნელოვანი ცვლილება გამოიწვია თემში (არსებითი გავლენა).	**4-5 ქულა**
საქმიანობა ადგილობრივი ხასიათისაა, მაგრამ შეზღუდული მასშტაბით.	**2-3 ქულა**
შედეგები მინიმალურია ან ძნელად შესაფასებელი.	**1 ქულა**
აქტივობა და ჩართულობის ხარისხი (მაქს. 5ქულა) რამდენად სისტემატურად და ინტენსიურად იყო ჩართული კანდიდატი ბოლო 1 წლის განმავლობაში მოხალისეობრივ საქმიანობაში?	
რეგულარული, ყოველკვირეული/ყოველთვიური და ჩართულობა მოხალისეობრივ აქტივობაში.	**4-5 ქულა**
ეპიზოდური ან ერთჯერადი მონაწილეობა კონკრეტულ აქციებში.	**2-3 ქულა**
მცირედი და ზედაპირული ჩართულობა.	**1 ქულა**

ინოვაციურობა და კრეატიულობა (მაქს. 5 ქულა) გამოიყენა თუ არა კანდიდატმა ახალი იდეები, ორიგინალური მიდგომები ან ციფრული ინსტრუმენტები პრობლემების მოსაგვარებლად?	
სრულიად ორიგინალური, ინოვაციური მიდგომა, რომელიც პირველად დაინერგა თემში.	**4-5 ქულა**
სტანდარტული, უკვე არსებული პრაქტიკების გამეორება.	**2-3 ქულა**
ინოვაციური ელემენტები სრულიად არ იკვეთება.	**1 ქულა**
მოტივაცია და სოციალური პასუხისმგებლობა (მაქს. 5 ქულა) როგორ ჩანს კანდიდატის სამოტივაციო წერილიდან და საქმიანობიდან მისი შინაგანი მზაობა, წვლილი შეიტანოს საზოგადოების განვითარებაში?	
მაღალი სამოქალაქო ცნობიერება, ძლიერი შინაგანი მოტივაცია და ლიდერული თვისებები.	**4-5 ქულა**
ზომიერი ინტერესი მოხალისეობრივი საქმის მიმართ.	**2-3 ქულა**
სამოტივაციო ნაწილი სუსტია და არადამაჯერებელი.	**1 ქულა**
დოკუმენტაცია და მტკიცებულებების სიზუსტე (მაქს. 5 ქულა) როგორ ფასდება წარმოდგენილი მასალები (ფოტო/ვიდეო, სერტიფიკატები, რეკომენდაციები)?	
სრულყოფილი, მაღალი ხარისხის მტკიცებულებები, რომლებიც მკაფიოდ ადასტურებს აღწერილ აქტივობებს.	**4-5 ქულა**
ზოგადი ხასიათის მტკიცებულებები, ნაკლები ვიზუალური ან წერილობითი დასტურით.	**2-3 ქულა**
დოკუმენტაცია ძალზე მწირია ან თითქმის არ არის წარმოდგენილი.	**1 ქულა**

5.5 გამარჯვებულად გამოვლინდება ის აპლიკანტი, რომელიც შესაბამის ნომინაციაში დააგროვებს კომისიის წევრთა შეფასებების ყველაზე მაღალ საშუალო ქულას.

5.6 თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში, საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს კომისიის თავმჯდომარე.

5.7 კომისიის ოქმი და გადაწყვეტილება არის საბოლოო და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.